



**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
(საქსტატი) 2013 წლის საქმიანობის ანგარიში**

შინაარსი

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია - - - - -	3
ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი - - - - -	10
2013 წლის ბიუჯეტი - - - - -	12
2013 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - -	16
საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - -	30
პრობლემები - - - - -	33
გეგმები 2014 წლისთვის - - - - -	34

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების” თანახმად (საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილების მიღებამდე საქსტატის დებულებას ამტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი), სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონით “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ”.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს:

- **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად;

- **ობიექტურობა** – სტატისტიკის წარმოების და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭვირვალობას, ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

- **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად მეცნიერული კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;

- **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა** – დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონო გავრცელება;

- **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის

წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის (2013 წლის 17 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციით) შესაბამისად, საქსტატის ადმინისტრაციულ დირექტორს ევალებოდა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა (დღეის მდგომარეობით სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას). სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით. შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2013 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 თებერვლის №26/02/03 განკარგულებით.

სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიაწოდონ საქსტატს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები საჯაროა, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებითაც შესაძლებელია დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირება.

ძირითადი სამართლებრივი აქტები, რომლითაც საქსტატი 2013 წელს ხელმძღვანელობდა, შემდეგია:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონი;

2. “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონი;

3. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება”;

4. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 თებერვლის №26/02/03 განკარგულებით დამტკიცებული “სტატისტიკური სამუშაოების 2013 წლის პროგრამა”;

5. საქსტატის საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №3 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულება.

საქსტატი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე და ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

მეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ კვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად სპეციალურად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით. საქსტატის მიერ წარმოებული ძირითადი კვლევები (მათ შორის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები), რაც ოფიციალურ სტატისტიკას წარმოადგენს შემდეგია:

1. ეროვნული ანგარიშები (მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი);
2. საგარეო სექტორის სტატისტიკა (საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა));
3. ფასების სტატისტიკური კვლევა (სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი);
4. სოციალური სტატისტიკა და მათ შორის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და შრომის ბაზრის სტატისტიკური კვლევა (სიღარიბის მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, დასაქმება და უმუშევრობა, ხელფასები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და სამართლებრივი სტატისტიკა);
5. მოსახლეობა და დემოგრაფია (მოსახლეობის რიცხოვნობა, დაბადება და გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება, მიგრაცია);
6. ბიზნეს სტატისტიკა (ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების, ბრუნვის და დასაქმების მაჩვენებლები, მრეწველობის, მშენებლობის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა);
7. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა), გარემოს დაცვის სტატისტიკა და სასურსათო ბალანსები.

ეროვნულ ანგარიშებში საქსტატმა 2013 წელს იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით:

1. “ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993” (SNA - System of National Accounts 1993), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 1993 წელი;
2. “დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა” (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი.

საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებისას გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდოლოგია:

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა” (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2004 წელი;
2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012, Harmonized Commodity Description and Coding System);
3. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება” (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;
4. “პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო” (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი;
5. “საგარეო ვალის სტატისტიკა” (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი;
6. კითხვარი „მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ (კვარტალური, წლიური).

ფასების სტატისტიკაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index, ILO Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 1993;
2. სახელმძღვანელო “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index Manual, IMF), საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
3. “სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო” (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, 1993-2012;
5. სამომხმარებლო კალათის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად 2012 წლიდან.
6. სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად შესაბამისი კითხვარების საფუძველზე.

სოციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში (შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, შრომის სტატისტიკა, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის და სამართლებრივი სტატისტიკა) გამოიყენებოდა შემდეგი მეთოდოლოგია:

1. შინამეურნეობების გამოკვლევის სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
2. კითხვარები:
 - შინდა 01 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საწყისი ინტერვიუ;

- შინდა 02 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საკონტროლო ბარათი;
 - შინდა 03 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ხარჯების დღიური;
 - შინდა 04 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ხარჯების კვარტალური კითხვარი;
 - შინდა 05 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ტრანსფერტები და ქონებიდან შემოსავლები, დანახოვები;
 - შინდა 05-1 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – დასაქმებისა და შემოსავლების კითხვარი;
 - შინდა 07 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – უარების ფურცელი;
3. თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე (Current International Recommendations on Labour Statistics, ILO), 1998 წლის გამოცემა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია;
4. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Hussmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. ჰუსმანსი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია, 1994 წელი;
5. „დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების გაანგარიშების მეთოდოლოგია – თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენების საკითხები“, (Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;
6. ძირითადი ცნებები და განმარტებები შრომის სტატისტიკაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);
7. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია, 1994 წელი;
8. კითხვარები:
- სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ“, კითხვარი N7-2-01 (წლიური);
 - სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ“, კითხვარი N7-2-02 (კვარტალური);
 - სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ“, კითხვარი N7-2-03 (ყოველთვიური).
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;
10. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში;
12. კითხვარები:
- მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ, N7-3-1
 - მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ, N7-3-2
 - მონაცემები მუზეუმის მუშაობის შესახებ, N7-3-3
 - მონაცემები თეატრის მუშაობის შესახებ, N7-3-4.

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკის ძირითადი სახელმძღვანელო მეთოდოლოგიები:

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, ჟენევა, 2006 წელი;
2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მეორე შესწორებული გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2001 წელი;
3. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2005 წელი, თბილისი.

ბიზნეს სტატისტიკაში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004 და 2009 წლების გამოცემები;
2. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;
3. “მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);
4. “საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Construction Statistics, UNSD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;
5. “ასსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის”, გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;
6. “ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო” (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო;
7. “საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი);
8. “სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია” (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 წელი;
9. “მომსახურების სტატისტიკის განვითარება: "მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში" სემინარის მასალები (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on "Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;
10. “ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი“ (Glossary for Transport Statistics, Eurostat), მესამე გამოცემა, ევროსტატი, 2003 წელი;

11. “ბიზნეს რეგისტრი: სარეკომენდაციო სახელმძღვანელო” (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, 2003 წელი;

12. “ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე” (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი;

13. “ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო” (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;

14. კითხვარები:

ა) საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური);

ბ) საწარმოთა (იურიდიულ პირთა) სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

გ) ინდივიდუალურ მეწარმეთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

დ) არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა (წლიური);

ე) სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა (წლიური);

ვ) ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

ზ) მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ (კვარტალური);

თ) მონაცემები დამთავრებული მშენებლობის შესახებ (კვარტალური).

სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების ჩატარება”, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №6, (Conducting Agricultural Censuses and Surveys, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 1996;

2. “ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის”. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005.

3. კითხვარები:

ა) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საწყისი გამოკითხვის კითხვარი;

ბ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კვარტალური გამოკითხვის კითხვარი;

გ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის დასკვნითი გამოკითხვის კითხვარი.

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს ფუნქციებია:

- 1) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
- 2) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 3) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
- 4) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
- 5) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის დამტკიცება;
- 6) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 7) საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
- 8) საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 9) საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
- 10) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით.

2013 წელს, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 149 საშტატო ერთეულით (95 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 54 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 დარგობრივი სამმართველო (ეროვნული ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და

დემოგრაფიის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, თელავის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, რუსთავის სამმართველო, ფოთის სამმართველო და ბათუმის სამმართველო (იხილეთ დანართი 1).

საშტატო განრიგი წარმოდგენილია დანართი 2 – ის სახით. ერთი თვის სახელფასო ფონდი შეადგენს 138 350 ლარს. მაქსიმალური ხელფასი 2950 ლარი, მინიმალური – 500 ლარი.

სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად და საქსტატის სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით 2013 წლის განმავლობაში აყვანილ შტატგერეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 2170 ერთეულს.

2013 წლის 2 აპრილიდან - 6 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სასმახურში გამოცხადებული იყო კონკურსი შტატით გათვალისწინებული 146 ვაკანტურ თანამდებობაზე. გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი შემოიტანა სულ 5114 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო სულ 381 კანდიდატი. კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 143 კანდიდატი.

2013 წლის ბიუჯეტი

საქსტატს დაფინანსების შემდეგი წყაროები გააჩნია: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

“საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 6 568 055 ლარი, მათ შორის: დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები 4 500 000 ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოსახლეობის აღწერისა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის გამოიყო 1 300 000 ლარი, ხოლო კრედიტებმა და გრანტებმა 768 055 ლარი შეადგინა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, “2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის და “საბიუჯეტო კოდექსის” შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადაწესება) საქსტატის ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებული გეგმა-ხარჯი ჩამოყალიბდა თანდართული სახით (**დანართი №3**). აღნიშნული სახსრების ხარჯვას საქსტატი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქსტატს “ს/ს “თიბისი ბანკი”-ს ჭავჭავაძის ს/ც №1 ფილიალში გახსნილი აქვს ანგარიში, სადაც ხორციელდება საქსტატის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და ხარჯვა. საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად.

2013 წელს საქსტატის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 6 381 494 ლარი. მათ შორის: **საბიუჯეტო სახსრები – 5 636 333 ლარი, კრედიტები და გრანტები – 745 160 ლარი.** გამოყოფილი სახსრები ათვისებულია 97%-ით, მათ შორის კრედიტებისა და გრანტების ნაწილში - 97%-ით. (**დანართი №3, დანართი №4**).

ეკონომიკური საქმიანობიდან 2013 წელს მიღებულ იქნა საკასო შემოსავალი 124 810 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 137 402 ლარი. (**დანართი №5, დანართი №5/1**).

სსიპ “საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქსტატი”-ს აპარატი (გრანტების ჩათვლით)

2013 წლის საქსტატის აპარატის ხარჯებმა შეადგინა 2 882 700 ლარი. მათ შორის:

- თანამდებობრივი სარგო – 1 585 185 ლარი;
- პრემია – 395 815 ლარი;
- საქონელი და მომსახურება – 812 857 ლარი, მათ შორის:
 - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 222 052 ლარი;
 - მივლინება – 9 310 ლარი;
 - ოფისის ხარჯი – 376 715 ლარი;
 - წარმომადგენლობითი ხარჯი – 7 854 ლარი;
 - რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა - 2 581 ლარი;
 - ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 54 163 ლარი;
 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 140 182 ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა – 27 386 ლარი;
- სხვა ხარჯები – 8 556 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა – 39 739 ლარი;
- ვალდებულებების კლება – 13 163 ლარი.

ვალდებულებების კლების მუხლიდან გასტუმრებულია სასამართლო გადაწყვეტილებითა და სააღსრულებო ფურცლებით საქსტატისთვის დაკისრებული, 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანებები 13 163 ლარის ოდენობით, სულ 14 პირის მიმართ.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (ბრანტის ჩათვლით)

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 992 924 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 952 920 ლარი;
- მივლინება – 16 438 ლარი;
- ოფისის ხარჯი – 19 477 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 756 ლარი.
- გრანტის ნაშთის დაბრუნება – 3 333 ლარი.
-

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (ბრანტის ჩათვლით)

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 1 745 037 ლარი, საიდანაც 1 370 951 ლარი საბიუჯეტო ასიგნებაა (1 300 000 ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი რესურსი), ხოლო 374 086 ლარი გრანტი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 1 133 898 ლარი;
- მივლინება – 24 946 ლარი;
- ოფისის ხარჯი – 127 187 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა-29 831 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 39 607 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 30 334 ლარი;
- სხვა ხარჯები – 2099 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა – 357 135 ლარი;

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამა

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 450 148 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 445 744 ლარი;
- მივლინება – 4 404 ლარი.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 310 685 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 309 559 ლარი;
- მივლინება – 1 126 ლარი.

2013 წელს საქსტატის მიერ მიღებული გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება

საქსტატის მიერ 2013 წელს გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებულია 768 054 ლარი. დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა რვა საგრანტო ხელშეკრულება. მათ მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკური კვლევების გაუმჯობესება და აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მხარდაჭერა (დანართი №4).

გრანტის ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 745 061 ლარი (დანართი № 4.1).

2013 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

ნაშთი 01.01.2013 –ის მდგომარეობით შეადგენდა 27 223 ლარს.

2013 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 124 810 ლარი. მათ შორის:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2010 წლის 22 ნოემბრის №23 დადგენილების საფუძველზე დადგენილია სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასური. 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე საქსტატში შემოსულია 2013 ოფიციალური წერილი ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, საიდანაც ამ პერიოდისათვის შესრულებულია **545** ფასიანი მოთხოვნა, **1 173** წერილზე გაიცა უფასო ინფორმაცია, ხოლო **238** წერილი ჩაითვალა გაუქმებულად განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე.

ფასიანი ინფორმაცია მოითხოვა **441** იურიდიულმა პირმა და **104** ფიზიკურმა პირმა.

აღნიშნულ პერიოდში ფასიანი ინფორმაციებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა– **64 268.83 ლარი**, რაც დარგობრივი სამმართველოების მიხედვით ასე გამოიყურება:

1. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა – 40 229.30 ლარი – 62.6%
2. ბიზნეს სტატისტიკა – 20 511.77 ლარი – 31.9%
3. ფასების სტატისტიკა – 2 373.20 ლარი – 3.7%
4. სოციალური სტატისტიკა – 542.61 ლარი – 0.9%
5. ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა – 138.00 ლარი – 0.21%
6. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა – 13.95 ლარი – 0.02%
7. აპარატი – 450.00 ლარი – 0.8%
8. მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სტატისტიკა – 10.00 ლარი - 0.01%.

გარდა ამისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ხელშეკრულებებით მიღებულმა საკუთარი შემოსავლების ღირებულებამ სულ შეადგინა—**58 476.20** ლარი.

მიმდინარე ნაშთებზე ბანკის მიერ დარიცხული პროცენტი – **2 054.58** ლარი

2013 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **137 401.6** ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 50 267.33 ლარი;
- პრემია – 33 300 ლარი;
- ქონების გადასახადი – 2 424.64 ლარი;
- მიწის გადასახადი - 654.05 ლარი;
- დღგ – 14 494.28 ლარი;
- მოგების გადასახადი - 15 751.38 ლარი;
- საქონელსა და მომსახურების შესყიდვის ხარჯი – 20 509.92 ლარი.

ნაშთი 01.01.2014 –ის მდგომარეობით შეადგენს 14 631 ლარს.

2013 წელს განხორციელებული ცვლილებები

2013 წელს სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და დაინერგა ბევრი სიახლე. ამ ცვლილებების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ:

- მომხმარებელთა მომსახურება;
- სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა გამოკვლევა;
- კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).
- დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება;
- სტატისტიკური კვლევების აქტიური მონიტორინგი.

მომხმარებელთა მომსახურება

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ყველა ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის (ფასები, დასაქმება, საარსებო მინიმუმი, ეროვნული ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ბიზნეს სტატისტიკა).

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბმულები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროსტატისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგიებზე და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე.

საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით, ვებ-გვერდზე განთავსებულია შინამეურნეობების და სამომხმარებლო ფასების ინდექსების მონაცემთა ბაზები. ეს იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი მომხმარებელი თავად გაეცნოს კვლევის შედეგებს, უფრო დეტალურად გაანალიზოს ფასების, შინამეურნეობებისა და შრომის სტატისტიკის ძირითადი მონაცემები და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, შეაფასოს საქსტატის მიერ მიღებული მონაცემების ობიექტურობა. ეს სერიოზული ნაბიჯია სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ნდობის მოპოვების საქმეში.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად თავსდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. ეს ყველაფერი აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სამსახური ინფორმაციის გავრცელების კუთხით. 2013 წლის განმავლობაში:

- მომზადდა 65 პუბლიკაცია;
- გავრცელდა 137 პრეს-რელიზი;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 2179 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია (32 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით);
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 330 704 მომხმარებელმა (რაც 51 პროცენტით მეტია 2012 წლის ანალოგიურ მონაცემზე).

ცალკე გვინდა გამოვყოთ კვარტალური წლიური პუბლიკაციები, რომლებიც 2013 წელს გამოიცა. შესაბამისად, გამოცემული და გავრცელებული იქნა 12 კვარტალური და 16 წლიური პუბლიკაცია.

სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა გამოკვლევა

2013 წელს საქსტატმა მომხმარებლების გამოკვლევა ჩაატარა. გამოკვლევის მიზანი იყო საქსტატის მომსახურების ხარისხისადმი მომხმარებლის დამოკიდებულებისა და წარმოებული ინფორმაციის მიმართ მომხმარებელთა ნდობის დადგენა, საქსტატის მიერ წარმოებული ინფორმაციის შინაარსისადმი მომხმარებელთა კმაყოფილების შესწავლა და საქსტატის საქმიანობის ზოგადი შეფასება. გამოკვლევაში გათვალისწინებული იყო გლობალური შეფასების მისიის რეკომენდაციები და შედეგის სტატისტიკის გამოცდილება. კითხვარი გაეგზავნა საქსტატის 500-მდე მომხმარებელს.

მომხმარებელთა გამოკვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობამ საქსტატიდან მიღებული ინფორმაციის ხარისხს მაღალი შეფასება მისცა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, საქსტატის მუშაობა გაუმჯობესდა. რესპონდენტთა განსაკუთრებით მაღალ შეფასებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი იმსახურებს, ასევე საკმაოდ მაღალი შეფასებები აქვს წარმოებული ინფორმაციის გამოყენებადობას და მომსახურების ხარისხს; შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს საქსტატის დამოუკიდებლობას. ასევე, უარყოფითი და ნეიტრალური შედარებით მაღალია ინფორმაციის სანდოობასა და საქსტატის, როგორც დასავლური ორგანიზაციის შეფასებაში;

მომხმარებლები საქსტატის საქმიანობის შესახებ ძირითადად ინფორმაციას ვებ-გვერდიდან, პრეს-რელიზებიდან, საქსტატის თანამშრომლებისგან და გამოცემული პუბლიკაციების გზით იღებენ.

კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება

- ❖ დამუშავდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS2012) 6 ნიშნა კლასიფიკატორი;
- ❖ დაიწყო მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების სპეციალურ პროგრამაზე, რომელიც ავტომატიზებულს გახდის მონაცემთა დამუშავების პროცესს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის ხარისხს;
- ❖ შემუშავდა საწარმოთა გამოკვლევის ელექტრონული კითხვარების შევსების ინსტრუქცია, რითაც ბიზნეს სუბიექტებისთვის გამარტივდა სტატისტიკური კითხვარების შევსების პროცესი;
- ❖ 2013 წელს გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის ხარისხი, რის საფუძველზეც განახლდა საწარმოთა გენერალური ერთობლიობა, რამაც შეამცირა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი.
- ❖ შეიქმნა ბიზნეს რეგისტრის ახალი მონაცემთა ბაზა და შემუშავდა მისი აქტუალიზაციის თანამედროვე სისტემა.
- ❖ ჩამოყალიბდა ახალი გენერალური ერთობლიობა და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი.
- ❖ გაუმჯობესდა და დაიხვეწა ბიზნეს რეგისტრის პროგრამული პროდუქტი.

- ❖ შეიცვალა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების გამოკვლევის ფორმატი (დაინერგა კომპიუტერიზებული სატელეფონო ინტერვიუ).
- ❖ განხორციელდა უძრავი ქონების გამოკვლევისათვის მეთოდოლოგიური სამუშაოები (კითხვარის შემუშავება, გამოკვლევის ინსტრუქციის მომზადება).
- ❖ ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებთან დაკავშირებით, შემუშავდა შესაბამისი კითხვარები (არაფინანსური კორპორაციებისათვის, ლომბარდებისათვის).
- ❖ გაუმჯობესდა და დაიხვეწა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგია.
- ❖ საქსტატს, ენერგეტიკის სამინისტროსა და ევროკავშირის პროგრამა ინოვაციის ტექნიკურ სამდივნოს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ენერგეტიკის სტატისტიკის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა ემსახურება ქვეყანაში ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარებას. დაიწყო აქტიური მუშაობა ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოების მიმართულებით (გამოკვლევის კითხვარები, მისი შევსების ინსტრუქციები, გამოკვლევის მეთოდოლოგიები);
- ❖ განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) დანერგვასთან დაკავშირებით (NACE -ის კლასიფიკატორის ძველი და ახალი ვერსიების შედარება და ანალიზი, კლასიფიკატორის განსაზღვრებებზე და კომენტარებზე მუშაობა, კლასიფიკატორებს შორის გადაწყვეანებზე მუშაობა და NACE- ის ახალი ვერსიის 5 ნიშნა დონეზე ჩაშლა).
- ❖ შემცირდა სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წინასწარი მონაცემების გამოქვეყნების ვადა 10 დღით.
- ❖ პუბლიკაცია "საქართველოს სოფლის მეურნეობა" გამოქვეყნების ვადა შემცირდა 2 კვირით. ნაცვლად 30 ივნისისა პუბლიკაცია გამოქვეყნდება 2013 წლის 16 ივნისს.
- ❖ FAO-ს მონაწილეობით მომზადდა საქსტატის მიერ სასურსათო ბალანსების წარმოების და გავრცელების შეფასების დოკუმენტი. გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები FAO-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
- ❖ განხორციელდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ბაზის განახლება;
- ❖ სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მიმართულებით, საქსტატის თანამშრომლებს ჩაუტარდა ტრენინგი რამდენიმე მიმართულებით (შვედეთის სტატისტიკა, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, საქსტატის დარგობრივი სამმართველოების თანამშრომლების მიერ რეგიონებში ჩატარებული ტრენინგები).
- ❖ სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით გაფორმდა მემორანდუმები საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებთან;
- ❖ მომზადდა ინდექსის გაანგარიშების ახალი პროგრამა, სადაც შესაძლებელია, როგორც სამრეწველო საქონლის ფასების ინდექსის, ასევე სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შექმნილი მასალებისა და საექსპორტო ფასების ინდექსის გაანგარიშება.
- ❖ განახლდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის არასახელმწიფო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) შერჩევა;
- ❖ 2013 წლიდან ონლაინ გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა შრომის კვარტალური და წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა მიღება;

- ❖ საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა გენდერული სტატისტიკის მონაცემთა მწკრივები (PC-AXIS) სისტემაში.
- ❖ 2013 წლიდან ონლაინ გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში.
- ❖ 2013 წლიდან მიგრაციის სტატისტიკის წლიური მონაცემების სრულყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, პირველად გამოყენებულ იქნა საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, დაიხვეწა ემიგრანტებისა და იმიგრანტების იდენტიფიცირების მეთოდი.

დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება

იმისთვის, რომ გაიზარდოს სტატისტიკის სამსახურისადმი ნდობა, სტატისტიკური ინფორმაცია გამოყენებული უნდა იყოს მომხმარებელთა ფართო წრის მიერ და რაც მთავარია, მუდმივად უნდა ხდებოდეს სამსახურის მუშაობის და სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის შეფასება, აუცილებელია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან მუდმივი და აქტიური დიალოგის წარმოება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე პროგრამების დანერგვა, რაც გააძვირებს სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას.

ბოლო წლების განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, როგორც დიალოგის, ასევე მონაცემების გავრცელების მიმართულებით. ეს ყველაფერი აღწერილია საქსტატის გასული წლების საქმიანობის ანგარიშებში. რაც შეეხება 2013 წელს ამ მიმართულებით გამოყოფთ რამდენიმე მათგანს:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროექტის ფარგლებში აპრილში და ნოემბერში საქსტატმა და გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) ერთობლივად ჩაატარეს დონორთა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტირებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა რეგიონულ დონეზე აჭარასა და კახეთში გამართა შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო და მასმედიის წარმომადგენლებთან.

- მოეწყო შეხვედრა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სადაც საზოგადოებას წარედგინა 2013 წელს გამოქვეყნებული გლობალური შეფასების მისიის ანგარიში. გლობალური შეფასების მისიის ანგარიში მოიცავს საქართველოს სტატისტიკური სისტემის შეფასებას. მასში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის სტატისტიკური სისტემის შემდგომ განვითარებას და ევროპულ სტანდარტებთან მის დაახლოებას. მოხსენება განთავსდა საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის;

- ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან;
- შეიქმნა და ვებ-გვერდზე განთავსდა PC-Axis მონაცემთა ბაზების ქართული ვერსია. PC-Axis არის მონაცემთა გავრცელების კომპლექსური სისტემა, რომელიც

საშუალებას აძლევს მომხმარებელს საქსტატის ვებ გვერდიდან მიიღოს საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში. მომხმარებელს უშუალოდ ვებ გვერდზე შეუძლია მიღებულ შედეგს კონვერტაცია გაუკეთოს სხვადასხვა საოფისე პროგრამის ფაილში. პროგრამა ასევე საშუალებას იძლევა შეცვალოს მომაცემთა ვიზუალური მხარე, მოიძიოს სასურველი ინფორმაცია გრაფიკებსა და ცხრილებში და გადაიტანოს ინფორმაცია მისთვის სასურველ ფორმატსა და ჭრილში; 2012 წლიდან საქსტატმა ვებ-გვერდზე განათავსა მონაცემთა გავრცელების შვედური პროდუქტი PC-Axis მონაცემთა ბაზები, რაც მხარდაჭერილი იქნა საქსტატისა და შვედეთის სტატისტიკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. საქსტატი გახდა პირველი ქართული ორგანიზაცია, რომელიც PC-Axis ლიცენზიის მფლობელია.

სტატისტიკური გამოკვლევების აქტიური მონიტორინგი

2013 წელს საქსტატში გაგრძელდა აქტიური მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლების (მათ შორის-ინტერვიუერების) მუშაობის ხარისხის შემოწმებას. მონიტორინგის შედეგები საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც საკუთრივ გამოკვლევათა ინტერვიუერების მიერ შესრულებული საველე სამუშაოების ხარისხი, ასევე საჭიროების შემთხვევაში - გადახალისდეს ინტერვიუერთა ქსელი.

საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველომ 2013 წლის პერიოდში განახორციელა სამუშაოები 2 ძირითადი მიმართულებით;

- საქსტატის მიერ წამოებული კვლევითი პროექტების საველე სამუშაოების მონიტორინგი;
- საქსტატის სტრუქტურული დანაყოფების შიდა აუდიტორული შემოწმება.

მონიტორინგი და აუდიტორული შემოწმება შემდეგი კუთხით განხორციელდა:

I. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოციალური სტატისტიკის სამმართველოს მიერ განხორციელებული გამოკვლევების საველე სამუშაოების მონიტორინგი. მონიტორინგმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი.

* შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევა.

* გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) 2010 წლის 10 ივლისს ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა UNICEF-თან და მსოფლიო ბანკთან ერთად საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევის (რომლის მიზანი იყო დაედგინა გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე) საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი. მონიტორინგმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი, აგრეთვე ქ. თბილისი.

* გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) 2013 წლის 11 ივლისს ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, განხორციელდა საქართველოში ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ ჩატარებული კვლევის

საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი. მონიტორინგმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი, აგრეთვე ქ. თბილისი.

II. შემოწმებული იქნა ეროვნული ანგარიშების სამმართველოს 2012 წლის IV კვარტალის და 2013 წლის 12-26 ივნისის პერიოდში გაწეული საველე სამუშაოები. გარდა საველე სამუშაოების კონტროლისა, ასევე შემოწმებული იქნა აღნიშნული სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა 2013 წლის I კვარტალში.

III. „Akademic Swis Caucasus Network“-სა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის, საქართველოში მეწარმეობის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ 2013 წლის 4 ივნისს გაფორმებული №6 მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ჩატარებული გამოკვლევის მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ინტერვიუერთა მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების ხარისხის შემოწმებას. გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ: თვითდასაქმებულები, მიკრო მეწარმეები და მცირე მეწარმეები. მონიტორინგმა მოიცვა როგორც ქ. თბილისი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და კახეთის რეგიონები (ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო);

IV. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ წარმოებული სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მე-2 და მე-3 კვარტალის საველე სამუშაოების მონიტორინგი. მთლიანობაში, გაკონტროლებულ ინტერვიუერთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 573 კაცი, ხოლო ველზე გადამოწმებული მისამართების რაოდენობამ - 1287.

2013 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშების სამმართველო

ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის SNA 2008 დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის შედეგად განხორციელდა:

1. ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გაანგარიშება საინვესტიციო ნაკადების ანალიზის საფუძველზე;
2. კაპიტალის ანგარიშის ფორმირება მიმდინარე ფასებში;
3. ექსპერიმენტული სექტორული ანგარიშების ფორმირება ფინანსური კორპორაციებისა და შინამეურნეობების სექტორებისათვის;
4. ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავების საწყისი სამუშაოები.

მიმდინარეობდა თანამშრომლობა პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან. 2013 წლის მაისში შედგა პოლონელი ექსპერტების ვიზიტი, რომლის მიზანი იყო რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა. თანამშრომლობის შედეგად გაუმჯობესდა რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

მიმდინარეობდა და კვლავ გაგრძელდება ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის გადრმავება. კერძოდ, ეროვნული ანგარიშების სამმართველოში მიმდინარეობს დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი სექტორულ ჭრილში. ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა სტატისტიკური და საგადასახადო დეკლარირების ხარისხის შედარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებების წარმოება. დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაცია საფუძველად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

ეროვნული ანგარიშების სამმართველოში ჩატარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში. გამოკვლევის მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული იქნა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობაზე გაწეული ხარჯების დეტალური სტრუქტურა მომსახურების ცალკეული სახეების მიხედვით, რაც გამოყენებული იქნება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში შემნილი მთლიანი შიდა პროდუქტის დასაზუსტებლად.

განხორციელდა 2012 წლის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დეტალური სტრუქტურის გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც მოხდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების წონების განახლება.

ფასების სტატისტიკის სამმართველო

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

- განხორციელდა სამომხმარებლო კალათის წონების განახლება. სამომხმარებლო კალათა შედგება 295 დასახელების საქონლის და მომსახურებისგან, რომელიც შედგენილია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის მიხედვით;
- მონაცემთა შეგროვების სავსელე სამუშაოებისთვის დაინერგა ვებ გვერდზე დაფუძნებული ელექტრონული კითხვარი;
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა და აზრთა გაზიარება საერთაშორისო ექსპერტებთან სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების კუთხით;
- მიმდინარეობდა შვედეთის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობა, მოეწყო შვედი ექსპერტების 2 ვიზიტი საქსტატში (სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებით) და ფასების სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მივლინება შვედეთში. შეხვედრების დროს მოხდა შვედეთის ფასების სტატისტიკაში დანერგილი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;

მწარმოებელთა ფასების ინდექსი

- შვედეთის სტატისტიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატში სამუშაო ვიზიტით ორჯერ იმყოფებოდა მწარმოებელთა ფასების ინდექსის ექსპერტი. სამუშაო შეხვედრების დროს მიმდინარეობდა ინდექსის გაანგარიშების ვებ-გვერდზე დაფუძნებულ პროგრამაში გასათვალისწინებელი საკითხების განხილვა; ასევე შვედეთის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტების მიერ განხორციელდა სამუშაო ვიზიტი სამშენებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებით.
- მომზადდა ინდექსის გაანგარიშების ახალი პროგრამა, სადაც შესაძლებელია, როგორც სამრეწველო საქონლის ფასების ინდექსის, ასევე სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შექმნილი მასალებისა და საექსპორტო ფასების ინდექსის გაანგარიშება.
- განხორციელდა საწარმოების განახლებული ბაზის შერჩევა და წონების გაანგარიშება.
- დაინერგა ელექტრონული კითხვარები;

ექსპორტის ფასების ინდექსის საცდელი გაანგარიშება

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა საექსპორტო საქონლის ფასების ინდექსის საცდელი გაანგარიშება.

საერთაშორისო შედარებების პროგრამა

- წლის განმავლობაში გრძელდებოდა თანამშრომლობა სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან. მოეწყო სომხეთისა და საქართველოს ფასების სტატისტიკის თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრები ქ. თბილისში და ქ. ერევანში, მონაცემთა შედარებისა და გაანალიზების მიზნით. მომზადდა კვლევის საბოლოო ანგარიში.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო

- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის ელექტრონულ კითხვარში შევიდა ცვლილებები საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან უფრო მეტად ჰარმონიზაციის მიზნით;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის ელექტრონულ კითხვარს დანართის სახით დაემატა კითხვარი საქონლის გადამუშავების შესახებ;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაში დაინერგა გამოკითხვისა და მონაცემთა კომპიუტერში შეყვანის ონლაინ სისტემა საქსტატის რეგიონულ ოფისებში;
- შემუშავდა ელექტრონული კითხვარების შევსების ინსტრუქცია;
- განახლდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის შერჩევის ბაზა საჯარო რეესტრის ინფორმაციის საფუძველზე;
- განახლდა და დაიხვეწა ელექტრონული კითხვარების მონაცემთა ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლის ერთიანი სისტემა;
- შეიქმნა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის შიდა კითხვარი;
- საქსტატის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებისა და ინტერვიუერებისთვის ჩატარდა ტრენინგი, როგორც საველე სამუშაოების განხორციელების, ისე კითხვარების სრულყოფილად და სწორად შევსების მხრივ;
- მონაცემთა მოზიდვის დროის შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მონაცემთა შეყვანის სამუშაოების წარმოება დაიწყო უშუალოდ მუნიციპალიტეტებში;
- დასრულდა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამის შექმნის პირველი ეტაპი;
- დასრულდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) 6 ნიშნა კოდების კლასიფიკატორის დამუშავების პირველი ეტაპი;
- ვებ-გვერდზე განთავსდა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დინამიკური მწკრივები 1995 წლიდან;
- მომზადდა პუბლიკაცია “საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2012”.

ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო

- სრულად დაინერგა ონლაინ გამოკვლევის სისტემა ბიზნეს სტატისტიკაში და განხორციელდა ელ. კითხვარის მონაცემთა კონტროლის სისტემის სრულყოფა;
- დაიხვეწა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაციის სისტემა;
- ჩამოყალიბდა ახალი გენერალური ერთობლიობა და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი;
- გაუმჯობესდა და დაიხვეწა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგია;
- დაინერგა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების ყოველთვიური გამოკვლევა.
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალ კლასიფიკატორზე (NACE REV.2) გადასვლასთან დაკავშირებით.
- ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ინტერვიუერებს ყველა რეგიონში ჩაუტარდათ ტრენინგები და ტესტირება;
- მომზადდა პუბლიკაცია “მეწარმეობა საქართველოში, 2013”;
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი სხვადასხვა სფეროში (შერჩევის მეთოდოლოგია, ბიზნეს რეგისტრი, ენერგეტიკის სტატისტიკა)
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ (ნატურალურ გამოსახულებაში);
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძის შესახებ;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაიგეგმა სპეციალური კვლევები, შემუშავდა გამოკვლევის კითხვარები და მეთოდოლოგიური მასალები;
- შემუშავდა უძრავი ქონების გამოკვლევის კითხვარები და შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალები;
- ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავდა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებთან დაკავშირებით შესაბამისი კითხვარები (არაფინანსური კორპორაციებისათვის, ლომბარდებისათვის).

სოციალური სტატისტიკის სამმართველო

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან 2014 წელს განსახორციელებელი ტურიზმის კვლევების მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. 2014 წელს განხორციელდება ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევები;
- განხორციელდა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღწერა, რომელმაც მოიცვა ისეთი საკითხები,

როგორებიცაა, სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მმართველობა, ფინანსები, სწავლების ხარისხი, არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა, ჩართულობა, სხვადასხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფთა ჩართულობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სხვადასხვა სახის სტანდარტები და სხვა. მიღებული მონაცემთა ბაზა გამოყენებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა დაინტერესებული მხარის მიერ;

- განხორციელდა “ეროვნული კვლევა ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში” კვლევის საველე სამუშაოები. კვლევის დროს გამოიკითხა 15-29 წლის 2500 ახალგაზრდა. კვლევამ მოიცვა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილი პრიორიტეტული სფეროები. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2014 წლის მარტში.

შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება

- შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის გაწმენდის და დამუშავების სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა დეტალური ინსტრუქციების მომზადებაზე და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, აგრეთვე კვარტალებს შორის კონტროლების შემუშავებაზე და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე;
- განხორციელდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარების (შინდა 02, შინდა 04, შინდა 05) კორექტირება. კერძოდ:
 - როგორც შინდა 02-ში, ასევე შინდა 05-ში დაემატა დაზღვევის ოთხი ახალი ტიპი, რაც შესაძლებელს გახდის დაზუსტდეს მოსახლეობის წილი, რომელიც სარგებლობს სხვადასხვა სახის დაზღვევით;
 - შინდა 04-ში დაემატა და გაფართოვდა არასასურსათო ხარჯების გარკვეული კატეგორიები, რაც გაზრდის მიღებული მონაცემების ხარისხს;
 - შინდა 04-ში დაემატა ენერჯის ფორმების მოხმარების ცხრილი. აღნიშნული მონაცემი გამოყენებული იქნება საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს მიერ ენერგეტიკული რესურსების გაანალიზებისთვის;
- განახლდა და დაიხვეწა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების სისტემა.
- დასრულდა ორმხრივი თანამშრომლობის პროექტი ჰოლანდიის სტატისტიკის სამსახურთან, რომლის ფარგლებშიც 2013 წელს განხორციელდა პილოტური კვლევა. პილოტურმა კვლევამ მოიცვა ქ. თბილისში მცხოვრები დაახლოებით 8,000 შინამეურნეობა. მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შერჩევის დიზაინის გადახედვა, რომელიც დამყარებული იქნება შემოსავლების მიხედვით შინამეურნეობების სტრატეგიცირებაზე.

შრომის სტატისტიკის განყოფილება

- განახლდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის არასახელმწიფო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) შერჩევა;
- 2013 წლიდან ონლაინ გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა შრომის კვარტალური და წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა მიღება;
- მომზადდა 2011-2012 წლის შრომის სტატისტიკის მონაცემები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება

- მომზადდა და გამოიცა 2010-2012 წლებისთვის “ქალი და კაცი საქართველოში” პატარა (უბის წიგნაკი) და ანალიტიკური პუბლიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა გენდერული სტატისტიკის მონაცემთა მწკრივები (PC-AXIS) სისტემაში.

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო

- საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიამ დაამტკიცა საყოველთაო აღწერის თარიღი (2014 წლის 5-19 ნოემბერი);
- აჭარის, გურიის და კახეთის რეგიონებში და ქ. თბილისში ჩატარდა აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის საველე სამუშაოები;
- გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების ჯგუფის მიერ შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონების ციფრული კარტოგრაფიული მასალა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის მიზნით;
- მომზადდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპის საველე სამუშაოების განხორციელებისათვის (შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა) საჭირო დოკუმენტაცია;
- დაიხვეწა გარე მიგრაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია;
- მომზადდა სტატისტიკური კრებული “დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2013”.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო

- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის სრულყოფის მიზნით განხორციელდა ბაზის განახლება და შევსება ქვეყანაში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მსხვილი ოჯახური მეურნეობების საფუძველზე;
- დაინერგა საველე სამუშაოების მიმდინარეობის ელექტრონული რეპორტირების სისტემა;
- გაუმჯობესდა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების სისტემა;

- გამარტივდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კითხვარები საველე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- გამოსაკითხი მეურნეობების იდენტიფიკაციის გამარტივებისა და მასზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად შემუშავებული იქნა არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცელი;
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქციის გამარტივების, ასევე მეთოდოლოგიური ცვლილებების ასახვის მიზნით მომზადდა:
 - სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქცია;
 - სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კითხვარების შევსების ინსტრუქცია;
 - გამოკვლევის დამხმარე ინსტრუმენტარის გამოყენების ინსტრუქცია;
- მომზადდა პუბლიკაცია “საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2012”, ქართული ვერსია;
- შემუშავდა პუბლიკაციის “საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2012”, სამუშაო ვერსია ინგლისურ ენაზე;
- ვებგვერდზე განთავსდა გარემოს დაცვის სტატისტიკასთან დაკავშირებული ცხრილები და დიაგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- მომზადდა ელექტრონული პუბლიკაცია “საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012”;
- ვებგვერდზე განთავსდა სოფლის მეურნეობის სტატისტიკასთან დაკავშირებული ცხრილები და დიაგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ვებგვერდზე განთავსდა სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- მიმდინარეობდა ინტენსიური სამუშაო შეხვედრები აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებთან;
- მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის მომხმარებლებთან მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების საკითხებზე ;
- აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებისა და საქსტატის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარდა საველე პერსონალის ტრენინგი;
- მომზადდა და ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ;
- მომზადდა მემორანდუმის სამუშაო ვერსია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ;
- შემუშავდა კრიტერიუმები ბიზნეს რეგისტრისთვის, რომლითაც განხორციელდება სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის განახლება;
- მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა PC Axis-ის ქართული და ინგლისური ვერსიები;
- FAO-ს მონაწილეობით მომზადდა საქსტატის მიერ სასურსათო ბალანსების წარმოების და გავრცელების შეფასების დოკუმენტი. გათვალისწინებული იქნა როგორც მეთოდოლოგიური ისე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები FAO-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
- შემუშავდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სოფლის მეურნეობის კომპონენტის “კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ” (ფორმა №4) და მისი შევსების ინსტრუქციის სამუშაო ვერსია.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო

- შეიქმნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის მონაცემების დამუშავების პროგრამა;
- შეიქმნა საგარეო ვაჭრობის მონაცემების პროგრამა;
- ბიზნეს რეგისტრის მართვის პროგრამას დაემატა ფილიალების და ბიზნესების მართვის მოდულები;
- შეიქმნა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების პროგრამა;
- დაიწყო მუშაობა მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების პროგრამაზე.
- შეიქმნა საყოველთაო აღწერის ვებ-საიტი census.ge;
- გაიმართა კომპიუტერული, სერვერული და სატელეფონო ინფრასტრუქტურა საქსტატის ცენტრალურ ოფისში;
- დაიწყო მუშაობა საქსტატის ინტრანეტის, ფინანსური და მატერიალური აქტივების აღრიცხვისა, კადრების აღრიცხვის პროგრამაზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით. იმისთვის რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები იყოს ურთიერთშედარებადი, აუცილებელია ყველა ქვეყანა ერთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდეს. საერთაშორისო მეთოდოლოგიები ძირითადად დგინდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა). ამიტომ, “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. 2013 წელი, ისევე როგორც გასული წლები საკმაოდ წარმატებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. სტატისტიკის დეპარტამენტი წარსულშიც იღებდა საკმაოდ დიდ ფინანსურ თუ ტექნიკურ დახმარებას, მაგრამ საქსტატის დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო აქტიური გახადა ეს პროცესი. გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ისე ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან. გამოვეყოფთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას:

- 2012 წელს საქსტატში იმუშავა შეფასების საერთაშორისო მისიამ. მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების – ევროკომისიის (ევროსტატის) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის, ისე ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური უწყებების წარმომადგენლები.

მისიის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სტატისტიკური სისტემის ევროპული სტანდარტებისადმი შესაბამისობის დონის განსაზღვრა. 2013 წელს გამოქვეყნდა მისიის შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადებული შემაჯამებელი მოხსენება. მასში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის სტატისტიკური სისტემის შემდგომ განვითარებას და ევროპულ სტანდარტებთან მის დაახლოებას. მოხსენება განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის. მოხსენების შინაარსი განხილული იქნა საქსტატის მიერ მოწყობილ სპეციალურ შეხვედრაზეც, რომელშიც მონაწილეობდნენ სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიების წარმომადგენლები.

მოხსენებაში საქართველოს სტატისტიკური სისტემის მდგომარეობა შეფასებული იქნა, როგორც ეფექტური და წარმატებული. ამასთან ერთად, მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმართ, რომლებიც ძირითადად შეეხო ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების კოორდინირებას და სტატისტიკის ცალკეული სფეროების

მეთოდოლოგიურ საკითხებს. ამ რეკომენდაციების გათვალისწინება საქსტატისა და სხვა უწყებების მიერ ხელს შეუწყობს ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის შემდგომ სრულყოფას.

- საქსტატის და შვედეთის სტატისტიკის 3-წლიანი პროექტის ფარგლებში 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის 17 მისია და საქსტატის თანამშრომლების 5 სასწავლო ვიზიტი შვედეთში. სასწავლო ვიზიტები განხორციელდა შემდეგი თემატიკის მიხედვით: ფასების სტატისტიკა, ეროვნული ანგარიშები, ჩატარდა სასწავლო ვიზიტი ორებროს უნივერსიტეტში შერჩევის მეთოდოლოგიაზე და NACE კლასიფიკატორის ტრენინგ კურსი რუმინეთში. ასევე ჩატარდა სასწავლო/გაცნობითი ვიზიტი საქსტატის საბჭოს წევრებისათვის. მთლიანად მივლინებებში მონაწილეობა მიიღო საქსტატის თორმეტმა თანამშრომელმა. შვედეთის სტატისტიკის მისიები კი შემდეგ სფეროებში განხორციელდა: მონაცემთა გავრცელება, კომუნიკაცია და მენეჯმენტი, ბიზნეს სტატისტიკის შერჩევა, ბიუჯეტირების პროცესი, სტატისტიკური პროდუქტის ხარისხის მართვა, ფასების სტატისტიკა, ბიზნეს რეგისტრი, ეროვნული ანგარიშები, ინდექსის თეორია, სტატისტიკური მეთოდოლოგია, მმართველობა, ეროვნული ანგარიშები, დროის ანგარიშების სისტემა. პროექტი მთლიანად დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.
- 2013 წლის თებერვალში საქსტატს, ენერგეტიკის სამინისტროსა და ევროკავშირის პროგრამა ინოვაციის ტექნიკურ სამდივნოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ენერგეტიკის სტატისტიკის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა ემსახურება ქვეყანაში ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარებას.
- ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის სავალდებულო პერსონალს.
- დაიგეგმა სამხსრივი თანამშრომლობის პროექტი ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს, საქსტატსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის. პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის დარგის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესება.
- 2013 წელს მიმდინარეობდა რეგიონული ეროვნული ანგარიშების პროექტი პოლონეთის სტატისტიკასთან. პროექტის შედეგად, საქსტატმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეგიონული ანგარიშების წარმოების ხარისხი. წლის ბოლოს მიღწეული იქნა 2014 წელს პროექტის გაგრძელების შეთანხმება.
- 2013 წელს დასრულდა ორმხრივი თანამშრომლობის პროექტი ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურთან შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მეთოდოლოგიური სრულყოფის მიმართულებით.
- 2013 წლის იანვარსა და სექტემბერში საქსტატში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტი. ექსპერტის ორივე ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კვარტალური და წლიური ეროვნული ანგარიშების წარმოების არსებული პრაქტიკის შეფასება და ამ მიმართულებით ტექნიკური დახმარების აღმოჩენა.
- 2013 წელს საქსტატმა მონაწილეობა მიიღო ევროსტატის მიერ ორგანიზებულ ევროპის სტატისტიკოსების და სხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და შეხვედრებში.
- 2013 წლის განმავლობაში გრძელდებოდა პროექტი ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან. პროექტის ფარგლებში რამდენიმე ტრენინგი

ჩაუტარდათ სოფლის მეურნეობის სტატისტიკური გამოკვლევის ინტერვიუერებს და კოორდინატორებს.

- გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) საქსტატს 2013 წელს ფინანსური დახმარების ფარგლებში გამოუყო 4700 აშშ დოლარი, რომელიც ძირითადად მიმართული იყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე.
- მსოფლიო ბანკმა 2013 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების მიზნით გამოყო 250 000 აშშ დოლარი, რომელიც მიმართული იყო ქ. თბილისში წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების (შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა) განხორციელებისათვის.
- მსოფლიო ბანკის დახმარებით საქსტატისა და სომხეთის სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობის შედეგად საქართველო ჩაერთო საერთაშორისო შედარებების პროგრამის 2011 წლის რაუნდში (ICP). 2013 წელს განხორციელდა კვლევის საბოლოო შედეგების შეჯამება.
- საქსტატმა გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით გამოსცა პუბლიკაცია “ქალი და კაცი საქართველოში”.

პრობლემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული ძირითადი პრობლემები:

- **არასკმარისი ნდობა** - რასაც ძირითადად ისტორიული სათავეები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, თანამედროვე სტატისტიკის სამსახური 90-იან წლებში შეიქმნა. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა სტატისტიკა იყო ადმინისტრაციული მმართველობის ნაწილი, ის ხშირად გამოიყენებოდა მონაცემთა მანიპულირების მიზნით. სამწუხაროდ, სტატისტიკის სამსახურს დღესაც აქვს ნდობის პრობლემა, რაც ერთის მხრივ, მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის და მეორე მხრივ, არასაკმარისი კომუნიკაციის და შესაბამისი რესურსების არარსებობა/ნაკლებობითაა გამოწვეული;
- **სტატისტიკური სისტემის სუსტი კოორდინაცია** - ხშირად ვაწყდებით არასკმარის კოორდინაციას სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებს შორის, რაც გამოწვეულია სტატისტიკის ნაკლებად პოპულარობით და ეგრედ წოდებული “მეორეხარისხოვანი” ინსტიტუტის იმიჯით, რაც სტატისტიკის სამსახურს ჯერ კიდევ შემორჩა, რადგან წლების განმავლობაში ის იმყოფებოდა ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში;
- **გამოუპასუხებლობა** - გამოუპასუხებლობა საველე სტატისტიკურ კვლევებიდან, ასევე ადმინისტრაციული წყაროებიდან მისაღებ ინფორმაციაზე კვლავ რჩება სტატისტიკის სამსახურის პრობლემად. ამიტომ, სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის უზრუნველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გაზიარება და ოფიციალური სტატისტიკის შექმნაში თანამონაწილეობა სხვადასხვა რესპოდენტების მხრიდან.
- **სუსტი რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა** - სამწუხაროდ შერჩევის ზომები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გვექონდეს საიმედო და ხარისხიანი რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა. შერჩევის ზომების გაზრდა კი შეუძლებელია საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის გარეშე;
- **სტატისტიკის არასწორი ინტერპრეტაცია** - ხშირად ადგილი აქვს ამა თუ იმ სტატისტიკური მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციას და სტატისტიკური მონაცემების დამახინჯებას სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ უფრო აქტიური და ინტენსიური დიალოგის წარმოება სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების სხვადასხვა წრეებთან.

გეგმები 2014 წლისთვის

ბოლოს შეიძლება ვისაუბროთ იმ გეგმებზე, რომლებიც საქსტატმა 2014 წლისთვის დასახა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს საქსტატის მთავარი ამოცანა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სრულყოფილად ჩატარებაა. თუმცა საქსტატის სხვადასხვა მიმართულებითაც აქტიურად აპირებს მუშაობას, კერძოდ:

- ❖ სტატისტიკური სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;
- ❖ სტატისტიკის სხვა მწარმოებლებთან კოორდინაციის გაუმჯობესება, მონაცემთა გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება;
- ❖ ხარისხის მართვისა და მეთოდოლოგიის სამმართველოს ფორმირება და ამ მიმართულების ახალი სისტემის შექმნა;
- ❖ ენერგეტიკის სფეროს გამოკვლევა და ენერგეტიკული ბალანსის წარმოების დაწყება;
- ❖ ახალი პროგრამული პროდუქტების განვითარება, კვლევების, მონაცემთა დამუშავების და გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- ❖ მუდმივი დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან;
- ❖ აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა (ერთობლივი პროექტები აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან, შვედეთის სტატისტიკასთან, პოლონეთის სტატისტიკასთან);
- ❖ სტატისტიკური კვლევების მუდმივი მონიტორინგი.